ევროკავშირი საქართველოსთვის

დემოკრატიის ვირტუალური აკადემია

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა

ქვეყნების პოლიტიკა ევროკავშირის რეკომენდაციების შესასრულებლად

დეკემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

ეს პუბლიკაცია შექმნილია "საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "დემოკრატიის ვირტუალური აკადემია" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

„ასოცირებული ტრიო“-ს ფორმატი საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სამმხრივ თანამშრომლობას გულისხმობს ევროინტეგრაციის გზაზე და იგი ოფიციალურად 2021 წლის 17 მაისს შეიქმნა, როდესაც საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კიევში, ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს ტრიოს დაფუძნების თაობაზე.

„ტრიოს“ შექმნის მთავარი მიზანი აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება და ევროკავშირში ერთობლივად გაწევრიანების პერსპექტივა იყო. ტრიოს წევრი სამივე ქვეყანა არის ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის წევრები. სამივე წევრმა სახელმწიფომ, 2022 წლის თებერვალ-მარტში, უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებული შეჭრის საპასუხოდ, წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ:

- უკრაინამ - 2022 წლის 28 თებერვალს
- მოლდოვამ - 2022 წლის 3 მარტს
- საქართველომ - 2022 წლის 3 მარტს

http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7

https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/ukraine/

https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/moldova/

https://www.consilium.europa.eu/en/policies/enlargement/georgia/

საპასუხოდ, ევროკომისიამ გადაწყვეტილება 2022 წლის 17 ივნისს მიიღო და სამივე წევრი სახელმწიფოს განცხადებებზე მოსაზრებები წარადგინა. ევროკომისიის შეფასების შედეგად, უკრაინამ და მოლდოვამ მიიღო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნების სტატუსი, ხოლო საქართველოს მიენიჭა - ევროპული პერსპექტივა.

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/european-commission-recommends-council-confirming-ukraine-moldova-and-georgias_en?s=232

აღნიშნული გადაწყვეტილებით, ტრიოს წევრი ქვეყნები განსახვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. 2 წევრ სახელმწიფოს, უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, ხოლო საქართველო მათ 1 ნაბიჯით „ჩამორჩა“ და კანდიდატის სტატუსის მიღებამდე, მთელი რიგი რეფორმების განხორციელება განესაზღვრა პირობად.

ევროკავშირის პრაქტიკა ადასტურებს, რომ გაფართოების პროცესი წარმატებული მაშინაა, როდესაც მას რეგიონალური სახე აქვს (ბალტიისპირეთის, ვიშეგრადის ქვეყნების შემთხვევები). შესაბამისად, საქართველოსათვის „ტრიოს“ წევრობის შენარჩუნება, ყველა რეალური შესაძლებლობის წინაპირობა და გარანტიაა. სხვა შემთხვევაში, უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაცია რამდენიმე წლით გადაიწევს და ქვეყანა სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ გაფართოებაში მოექცევა.

„ასოცირებული ტრიოს“ მომავალი და მასში საქართველოს ადგილი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული რეალურად განხორციელებულ რეფორმებსა და საქართველოს მიერ „შესასრულებელი დავალების“ ხარისხზე, რათა საქართველო - მოლდოვა - უკრაინას სამმხრივმა თანამშრომლობამ მხოლოდ ფორმალური ხასიათი არ მიიღოს. 2022 წლის 13 ივლისს, ევროკომისიის სამეზობლო და გაფართოების საკითხებში მოლაპარაკებების მთავარი დირექტორატის (DG-NEAR) წარმომადგენელმა, **მიხაელ რუპმა,** ევროპარლამენტში, საგარეო საქმეთა კომიტეტზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ევროკომისია არა 2022 წლის დეკემბრისთვის, არამედ 2023 წლისთვის მოამზადებს ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს ქვეყანა ევროკომისიის მიერ გაწერილ 12 რეკომენდაციას. შესაბამისად, საქართველოს დამატებითი დრო მიეცა პოლიტიკური პოლარიზაციის დასასრულებლად, რაც პირდაპირაა დაკავშირებული თითოეული რეკომენდაციის წარმატებით შესრულებასთან.

https://yazidis.info/en/news/3894

https://netgazeti.ge/news/620746/

მოცემული ნაშრომის მიზანია ევროკომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, ნოემბრის მდგომარეობით, შეფასდეს თითოეული წევრი სახელმწიფოს - საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მიერ ეროვნულ დონეზე გადადგმული ნაბიჯები, რეკომენდაციების წარმატებით შესრულების გზაზე.

მოვლენების მიმოხილვა უკრაინაში

2022 წლია 31 ოქტომბერს, ჩეხეთის პრემიერ-მინისტრთან პეტრ ფიალასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე კიევში, უკრაინის პრემიერ-მინისტრმა დენის შმიგალმა გააკეთა განცხადებები უკრაინის მიერ ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ უკრაინას დიდი პროგრესი აქვს და წლის ბოლომდე ევროკავშირის მიერ დაწესებული ყველა რეკომენდაცია შესრულდება, მათ შორის პარლამენტი მალე მიიღებს ევროინტეგრაციისთვის საჭირო რამდენიმე კანონპროექტს.

შმიგალმა ასევე განაცხადა, რომ ზოგიერთ ვალდებულებასთან დაკავშირებით ქვეყანა ელოდება ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის დამატებით რეკომენდაციებს.

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

http://neweurope.org.ua/
https://www.eurointegration.com.ua

მას შემდეგ, რაც უკრაინამ წარადგინა განაცხადი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და მიიღო შესაბამისი რეკომენდაციები, ქვეყნის ხელისუფლება ინტენსიურად ახორციელებდა ევროკავშირის მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო ქმედებებს. თუმცა, არაერთი უკრაინული გამოცემის (მაგალითად, http://neweurope.org.ua/, https://www.eurointegration.com.ua), ეს ტემპები, 2022 წლის შემოდგომაზე კვლავ შენელდა და არარეალისტური გახდა პრეზიდენტ ზელენსკის დაპირება შვიდივე რეკომენდაციის 2022 წლის ბოლომდე შესრულებასთან დაკავშირებით. ტემპის შენელებაში, რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყანაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს.

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

როგორც პრემიერმა დენის შმიგალმა განცხადა, უკრაინის ხელისუფლებას განსაკუთრებულად სჭირდება ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის შეფასებები და რეკომენდაციები ვალდებულებების შესრულების პროცესში. სწორედ ამ მიზნით, უკრაინული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ანალიტიკოსებისაგან (მათ შორის "European Pravda"“ რედაქტორი) დაკომპლექტებულმა კონსორციუმმა , „ახალი ევროპის ცენტრის“ (New Europe Center) ხელმძღვანელობით, მოამზადა კვლევა, რომლის ფარგლებშიც გაანალიზებულია, თუ რამდენად შეასრულა უკრაინამ ევროკავშირის რეკომენდაციები მათი გაცემიდან 6 თვის მანძილზე. აღნიშნული ანალიტიკური კვლევის შესაბამისად, უკრაინამ განსაკუთრებულ წარმატებას, რეკომენდაციების შესრულების კუთხით, 2022 წლის ზაფხულში მიაღწია, განსაკუთრებით კი, საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის ნაწილში, თუმცა უკრაინა გადამწყვეტი არჩევანის წინაშე დგას, მან ან მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს რეფორმების ოპერატიულად შესასრულებლად გადასადგმელი ნაბიჯები, ან დათანხმდეს რეკომენდაციების შესრულების ვადის 2023 წლისთვის გადატანას.

გთავაზობთ ევროკავშირის მიერ უკრაინისთვის გაცემულ შვიდი რეკომენდაციის შინაარსს და ზემოხსენებული ანალიტიკური ცენტრის შეფასებებს უკრაინის მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით:

1 **პირველი რეკომენდაციის შესაბამისად,** უკრაინას დაევალა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის შესახებ კანონმდებლობის დანერგვა და განხორციელება, მათ შორის წინასწარი შერჩევის პროცესის განსაზღვრა, რომელიც დაფუძნებული იქნება მოსამართლეთა კეთილსინდისიერების და პროფესიული უნარების შეფასებაზე;

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/eu-commissions-recommendations-ukraines-eu-candidate-status_en?s=232

კონსორციუმმა აღნიშნული ვალდებულების შესრულება, ათ ბალიანი სისტემიდან სამი ქულით შეაფასა. მართალია, 2022 წლის 6 სექტემბერს უმაღლესმა რადამ პირველი მოსმენით მიიღო *No7662* კანონპროექტი საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის შესახებ, თუმცა ანალიტიკოსთა შეფასებით, აღნიშნულ კანონპროექტში არ მომხდარა ვენეციის კომისიის ყველა მოთხოვნის ასახვა.

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

2 **მეორე რეკომენდაციის ფარგლებში,** უკრაინამ აიღო ვალდებულება, რომ დაასრულოს ეთიკის საბჭოს მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების კეთილსინდისიერების შემოწმება და კანდიდატის შერჩევა უკრაინის მოსამართლეთა უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისიის შესაქმნელად;

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/eu-commissions-recommendations-ukraines-eu-candidate-status_en?s=232

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის შემთხვევაში, ექსპერტები ამ რეკომენდაციის შეფასებისასაც ხაზს უსვამენ ვალდებულების არასრულყოფილად შესრულების პრობლემას. მართალია შესაბამისი კანდიდატები უკვე შეირჩა, თუმცა კვლავაც პრობლემურად რჩება მათი კეთილსინდისიერების საკითხის შეფასების საკანონმდებლო ჩარჩო. კონსორციუმმა კვლევაში ხაზი გაუსვა, რომ უკრაინამ სასამართლო რეფორმის გატარება საწყის ეტაპზე კარგად დაიწყო, თუმცა შერჩეულ კანდიდატთა კეთილსინდისიერების საეჭვოობამ ეს პროცესი შეაფერხა. სწორედ ამიტომ, რეკომენდაციის შესრულების ხარისხის შეფასება 7 ქულიდან 6 ქულამდე ჩამოვიდა. საბოლოო გადაწყვეტილება 2023 წელს იქნება მიღებული, რაც იმას ნიშნავს, რომ უკრაინას ჯერ კიდევ აქვს შანსი წარმატებით შეასრულოს ამ რეკომენდაციის ფარგლებში აღებული ვალდებულება.

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/ukraines-half-full-ambition-to-fulfil-eus-candidate-criteria/

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/ukraines-half-full-ambition-to-fulfil-eus-candidate-criteria/

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/eu-commissions-recommendations-ukraines-eu-candidate-status_en?s=232

3

მესამე რეკომენდაცია უკრაინაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას ეხება, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფოს დაევალა კორუფციასთან ბრძოლის მაღალი სტანდარტების მეთოდების დანერგვა. მაგალითად, მნიშვნელოვან საკითხებად გამოიკვეთა პროაქტიული და ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო ისტორიის შექმნა, სპეციალიზებული ანტიკორუფციული პროკურატურის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნა შესაბამის კონკურსში გამოვლენილი გამარჯვებულის სერტიფიცირების გზით, უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს ახალი დირექტორის შერჩევა და დანიშვნა;

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/ukraines-half-full-ambition-to-fulfil-eus-candidate-criteria/

რეკომენდაციის ფარგლებში განხორციელებულ რეფორმებს ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს, ვინაიდან შემუშავდა რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. ასევე, ექსპერტები დადებითად აფასებენ კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერებაში მიღწეულ წარმატებებს, კერძოდ, მიმდინარე წლის ივლისში სპეციალიზებული ანტიკორუფციული პროკურატურის ხელმძღვანელის დანიშვნამ - მთავარი კორუფციული საქმეების ეფექტური გამოძიება განაპირობა. თუმცა, ამ რეკომენდაციის სრულყოფილად შესასრულებლად, ხელისუფლებამ უნდა შეარჩიოს უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს ახალი დირექტორიც. შესაბამისად, კონსორციუმმა რეკომენდაციის შესრულების ხარისხს ათ ბალიანი სისტემიდან 6 ქულა მიანიჭა.

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/eu-commissions-recommendations-ukraines-eu-candidate-status_en?s=232

4

მეოთხე რეკომენდაციით უკრაინას ასევე დაევალა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა FATF-ს სტანდარტებთან. უკრაინის უსაფრთხოების გარემოს სრულყოფისთვის, სახელმწიფოს განესაზღვრა ვალდებულება შეიმუშაოს ყოვლისმომცველი სტრატეგიული გეგმა სამართალდამცავი სექტორის სრულფასოვანი რეფორმისთვის;

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკრაინას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში პოზიტიური შედეგები აქვს, ვინაიდან შემუშავდა შესაბამისი სამართლებრივი აქტები. მაგალითად, სექტემბერში მიღებულ იქნა კანონი *No 6320* ბიზნეს ბენეფიციარების შესახებ. ასევე, სექტემბერშივე პარლამენტმა მოახდინა ევროპის საბჭოს ტერორიზმის პრევენციის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება, თუმცა ხელისუფლებას დარჩა რიგი სამართლებრივი აქტები, რომლებიც ამ რეკომენდაციის ფარგლებში უნდა დანერგოს. სწორედ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა, ხელისუფლების მიერ გატარებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის რეფორმა 5 ქულით შეაფასა ათბალიან სისტემაში.

5 **მეხუთე რეკომენდაცია** ანტიოლიგარქიული კანონის იმპლემენტაციას ეხება, რომელმაც უნდა შეზღუდოს ოლიგარქების გადაჭარბებული გავლენა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს უნდა მოხდეს სამართლებრივად გამართულად, შესაბამისი კანონმდებლობის შესახებ ვენეციის კომისიის მოსაზრებების გათვალისწინებით;

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/eu-commissions-recommendations-ukraines-eu-candidate-status_en?s=232

ექსპერტთა ჯგუფი პოზიტიურად აფასებს ანტიოლიგარქიული რეფორმის დანერგვის პროცესს უკრაინაში. როგორც კვლევაში გამოჩნდა, შესაბამის კანონს, რომელიც ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ვენეციის კომისიამ, უკვე წარმატებული შედეგები აქვს და შეამცირა რიგი ოლიგარქების გავლენები. მაგალითად, უკრაინელმა ბიზნესმენმა რინატ ახმეტოვმა უარი თქვა მედია ბიზნესზე, ასევე ყოფილმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ფორმალურად დათმო თავისი წილები მედია ბიზნესში. თუმცა, ვინაიდან კანონი ჯერ კიდევ არ შეუფასებია კომისიას და ბუნდოვანია მისი ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი, ექსპერტებმა ეს რეფორმა 2 ქულით შეაფასეს.

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/ukraines-half-full-ambition-to-fulfil-eus-candidate-criteria/

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

6 **მეექვსე რეკომენდაციის ფარგლებში,** უკრაინამ მიიღო გამოწვევა, გაუმკლავდეს დამოუკიდებელ ინტერესთა გავლენას მედიის შესახებ კანონის მიღებით. აღნიშნული კანონი სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან და ხელს უწყობდეს მედიის დამოუკიდებელი მარეგულირებლების გაძლიერებას;

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/eu-commissions-recommendations-ukraines-eu-candidate-status_en?s=232

მედიის შესახებ კანონის მიღების პროცესი, ექსპერტთა შეფასებით, ნელი ტემპებით მიმდინარეობდა 2022 წლის ზაფხულში, თუმცა ეს მოცემულობა საგრძნობლად შეიცვალა შემოდგომით, როდესაც უკრაინამ მიიღო ევროკავშირისა და ვენეციის კომისიის შეფასებები კანონპროექტთან დაკავშირებით და მიმდინარე პერიოდისთვის ქვეყანა მზადაა მიიღოს კანონი მედიის შესახებ და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდეს ევროკავშირის წევრობას.

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/ukraines-half-full-ambition-to-fulfil-eus-candidate-criteria/

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

7 **მეშვიდე და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულება,** რაც უკრაინამ ევროინტეგრაციის პროცესში აიღო ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის ფორმირების რეფორმაა. კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ეფექტურ მექანიზმებს და მისი იმპლემენტირება უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ.

https://www.eeas.europa.eu/delegations/ukraine/eu-commissions-recommendations-ukraines-eu-candidate-status_en?s=232

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/ukraines-half-full-ambition-to-fulfil-eus-candidate-criteria/

https://www.eurointegration.com.ua/eng/articles/2022/11/14/7150585/

უკრაინის ხელისუფლებამ უკვე შეიმუშავა შესაბამისი კანონის პროექტი უმცირესობის უფლებების დაცვის მიზნით და იგი ელოდება შეფასებებსა და რეკომენდაციებს ევროკავშირისგან. ექსპერტთა ასევე აღნიშნულია, რომ რადას მმართველი უმრავლესობა აცხადებს მზაობას, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ კანონპროექტს. შესაბამისად, კონსორციუმმა რეფორმა მოცემული პერიოდისთვის 5 ქულით შეაფასა.

https://www.euractiv.com/section/europe-s-east/opinion/ukraines-half-full-ambition-to-fulfil-eus-candidate-criteria/

საბოლოო ჯამში, ანალიტიკოსები და ექსპერტები, რეკომენდაციების შესრულების ხარისხს 4.7 ქულით აფასებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, შედეგი დადებითია, ვინაიდან ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება მალე შეასრულოს ევროკავშირის რეკომენდაციები. ამ პროცესში უკრაინას მხარს უჭერს არაერთი ევროპული სახელმწიფო.

https://www.kmu.gov.ua/en/news/joint-statement-outcomes-intergovernmental-consultations-between-ukraine-and-czech-republic

2022 წლის 31 ოქტომბერს კიევში გამართულ ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის ჩეხეთისა და უკრაინის სახელმწიფოების შეხვედრაზე, ჩეხეთის მთავრობამაც გაუსვა ხაზი უკრაინის პოზიტიურ მიღწევებს რეკომენდაციების შესრულებაში და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინის ხელისუფლებას.

მოვლენების მიმოხილვა მოლდოვაში

17 ივნისს, ევროკომისიის პრეზიდენტმა - ურსულა ფონ დერ ლეიენმა თავის გამოსვლაში დადებითად შეაფასა კომისიის ივნისის გადაწყვეტილების შემდეგ, მოლდოვაში განხორციელებული დემოკრატიული რეფორმები. (2021 წლის 11 ივლისს მოლდოვაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც პროდასავლური პრეზიდენტის, მაია სანდუს პარტიამ „მოქმედება და სოლიდარობა“ გაიმარჯვა. მათი გამარჯვების შედეგად, ძალაუფლების ყველა შტო: პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, და საკონსტიტუციო სასამართლო, პროდასავლური ძალების ხელში აღმოჩნდა). ევროკომისიის პრეზიდენტმა განსაკუთრებით გამოყო ამ პროცესებში ხალხის მიერ მინიჭებული მანდატის ლეგიტიმურობა და მათივე ნება ამ ცვლილებების განსახორციელებლად.

https://www.youtube.com/watch?v=PbdNXJf91XY

https://www.reuters.com/world/moldovans-elect-new-parliament-amid-concerns-over-graft-stalled-reforms-2021-07-11/

https://civil.ge/ka/archives/431960

ფონ დერ ლეიენმა თავის სიტყვაში მოკლედ მიმოიხილა მოლდოვას საშინაო და საგარეო ვითარება და ევროინტეგრაციის გზაზე უკვე განხორციელებული პროგრესული რეფორმები. დადებითად შეფასდა ქვეყნის კორუფციასთან ბრძოლის პოლიტიკა, მოლდოვის რესპუბლიკაში ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ორგანოების არსებობა, ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ქვეყნის პოლიტიკა უმცირესობის უფლებების დაცვის კუთხით. თუმცა, სიტყვაში ასევე მკაფიოდ აღინიშნა არაერთი რეფორმების გატარების აუცილებლობა მაგალითად, საჯარო მმართველობისა და ეკონომიკის გასაძლიერებლად, რომელიც შემდგომ ევროკომისიის რეკომენდაციებშიც აისახა.

ექსპერტთა მოსაზრებით, მოლდოვასათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება გარდამტეხი მნიშვნელობის მქონეა მოლდოვა - ევროკავშირის ურთიერთობაში და აღნიშნული, ერთგვარად, ქვეყნის პროდასავლური კურსის ლეგიტიმაციაა. მათი მოსაზრებით, ეს ურთიერთობა არასდროს ყოფილა ასეთი პროგრესული და პროგნოზირებადი, რაც იწვევს იმის მტკიცების საფუძველს, რომ მოლდოვა არსებული პოლიტიკური კურსის შენარჩუნების შემთხვევაში, ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოდ მოგვევლინება. თუმცა, ამ დრომდე ქვეყანას საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმები ექნება განსახორციელი, გთავაზობთ ევროკომიისის მხრიდან მოლდოვასთვის წარდგენილ რეკომენდაციებს:

https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-moldovas-application-membership-european-union_en

1 დასრულდეს დაწყებული მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი რეფორმა მართლმსაჯულების ყველა ინსტიტუტსა და პროკურატურის ყველა რგოლში, მათი დამოუკიდებლობის, მთლიანობის, ეფექტურობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ეფექტური დემოკრატიული ზედამხედველობის გამოყენების გზით; კერძოდ, უმაღლეს მაგისტრატ საბჭოსა და მის ყველა სპეციალიზებულ ორგანოში შეივსოს ვაკანტური ადგილები;

2 ყველა სფეროში, აღმოიფხვრას ეუთო/ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს/ ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზები;

3 გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიდგას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა დონეზე, ეფექტიანი გამოძიების წარმოების გზით; არსებითად იქნას გათვალისწინებული ეროვნული ანტიკორუფციული ცენტრის რეკომენდაციები;

4 განხორციელდეს „დეოლიგარქიზაციის“ ვალდებულება - ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის გზით;

5 გაძლიერდეს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საფრთხეების დეტალური შეფასებების საფუძველზე, გაძლიერდეს თანამშრომლობა რეგიონულ, ევროკავშირსა და საერთაშორისო პარტნიორებთან და სამართალდამცავ უწყებებთან უკეთესი კოორდინაციისათვის; კერძოდ, შემუშავდეს საკანონმდებლო პაკეტი აქტივების აღდგენის შესახებ და ფინანსური დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის შესაბამისობას ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF)-ის სტანდარტებთან;

6 მეტად ეფექტური გახდეს საჯარო მმართველობის რეფორმა, უზრუნველყოფილ იქნას ხარისხიანი საჯარო სერვისები; შეფასდეს და განახლდეს საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია;

7 დასრულდეს სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა, მათ შორის, გაუმჯობესდეს სახელმწიფო შესყიდვები ყველა დონეზე;

8 უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ყველა დონეზე;

9 გაძლიერდეს ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, შესრულდეს გენდერული თანასწორობის დაცვისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებება.

ევროკავშირისგან მოლდოვის რესპუბლიკას 9 რეკომენდაცია წარედგენა, შესაბამისი 13 ღონისძიებით. ევროკავშირის მიერ პირველადი მოსაზრებების წარდგენა იგეგმება 2022 წლის დეკემბერში, ხოლო გაფართოების პოლიტიკის ფარგლებში, შეფასება მომავალი წლიდან დაიწყება და პირველი ანგარიში 2023 წლის მეორე ნახევარში გამოქვეყნდება.

სანამ უშუალოდ ქვეყნის მიერ განხორციელებულ რეფორმებზე ვისაუბრებთ, საინტერესოა ევროკავშირის მიერ განხორციელებული ქმედებები ქვეყნის დასახმარებლად, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებისა და სტატუსის მინიჭების შემდგომ.

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდგომ, მოლდოვას, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო და რეგიონალური და შიდა კრიზისული ვითარების მოსაგვარებლად, ევროკავშირმა შესთავაზა 600 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური დახმარება. აღნიშნული ღონისძიება ასევე მიმართულია ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველსაყოფადაც, რათა მოლდოვა ნაკლებად იყოს დამოკიდებული რუსულ ბუნებრივ აირზე. უკრაინის საზღვართან, განლაგდა Frontex-ის მისია, საზღვრის დაცვის მიზნით. ამ მიზნითვე, 2022 წლის 11 ივლისს, ევროკომისარმა შინაგან საქმეთა საკითხებში, ილვა იოჰანსონმა და მოლდოვის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ანა რევენკომ ევროკავშირის მხარდაჭერის ცენტრი გახსნეს მოლდოვაში, ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისა და საზღვრების მონიტორინგისთვის. ცენტრის გახსნისას აღინიშნა, რომ რუსეთ-უკრაინის ომმა, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია რეგიონში და ქვეყნებმა დაიწყეს თავიანთი უსაფრთხოების სტრატეგიების გადახედვა/მოდიფიკაცია. კიდევ ერთხელ აღნიშნეს მოლდოვას გეოგრაფიული მდებარეობა, რაც ქვეყანას მეტად საკვანძო როლს ანიჭებს უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრაში საზღვარზე. აღნიშნული ცენტრის დაარსებით, ერთი მხრივ, გაძლიერდა ქვეყნის შიდა უსაფრთხოება, ხოლო მეორე მხრივ, შეფასდა, როგორც მოლდოვას ევროპული პერსპექტივის დადასტურება.

https://frontex.europa.eu/we-support/roles-responsibilities/#:~:text=Frontex's%20mission%20is%20to%20promote,of%20EU%2Dintegrated%20border%20management.

https://frontex.europa.eu/we-support/roles-responsibilities/#:~:text=Frontex's%20mission%20is%20to%20promote,of%20EU%2Dintegrated%20border%20management.

ევროკავშირი ასევე არის მოლდოვას მხარდაჭერის პლატფორმის წევრი, რომელიც, გახდა მთავრობათაშორისი ინსტრუმენტი და რომელსაც კოორდინაციას უწევს გერმანია, რუმინეთი და საფრანგეთი, სხვა სახელმწიფოებთან ერთად. პლატფორმის მიზანია კოორდინირებული ქმედებებით დაეხმარონ მოლდოვას 6 პრიორიტეტული მიმართულებით (ჰუმანიტარული დახმარება, საზღვრების კონტროლი, ეკონომიკური აღდგენა და მდგრადობა, მართლმსაჯულება, ენერგეტიკა და საჯარო მმართველობის რეფორმა), რისთვისაც სრულად განისაზღვრა 1,3 მილი-

https://www.eib.org/en/press/all/2022-494-moldova-support-platform-eib-to-continue-investing-in-moldova

არდი ევრო (რომელიც აერთიანებს როგორც უკვე მიღებულ, ისე მომავალში მისაღებ ფინანსურ დახმარებას).

https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/hu/ip_22_2272

2022 წლის 5 აპრილს, სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა, ოლივერ ვარჰელიმ მოლდოვასთვის დამატებით, 53 მილიონი ევროს გადაცემა დააანონსა, რათა დაეხმარონ მოლდოვის რესპუბლიკას გაუმკლავდეს უკრაინის წინააღმდეგ რუსული სამხედრო აგრესიის ფართომასშტაბიან მძიმე შედეგებს. ითქვა, რომ დახმარება მიიღებს საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამის ფორმას, რომელიც განხორციელდება რაც შეიძლება სწრაფად. ევროკომისარის განცხადებით „ევროპული სოლიდარობა მოლდოვას მიმართ ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს“.

https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/hu/ip_22_2272

53 მილიონიანი საბიუჯეტო მხარდაჭერასთან ერთად, მიმდინარე კრიზისის ფარგლებში, მოლდოვა ევროკავშირისგან იღებს სხვადასხვა ტიპის ფინანსურ დამხარებას, რომელიც მოიცავს:

- 47 მილიონი ევრო ევროპის „მშვიდობის ფონდიდან“ მოლდოვის არმიის მოდერნიზაციისთვის (რომლიდანაც 7 მილიონზე შეთანხმება არსებობდა 2021 წლიდან);
- 150 მილიონი ევროს მაკროფინანსური დახმარების პროგრამა; გამოყოფილი თანხის ძირითადი მიზანია ომისა და სანქციების შედეგად გამოწვეული სატრანსპორტო მარშრუტების დანაკარგების ზემოქმედების შემცირება ქვეყნისთვის.
- დაახლოებით, 60 მილიონი ევროს საბიუჯეტო მხარდაჭერა ენერგეტიკული კრიზისის შედეგების მოსაგვარებლად (სოციალური კომპენსაცია);
- 8 მილიონი ევრო ჰუმანიტარული დახმარების სახით, სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზე, სატრანზიტო პუნქტებსა და მიმღებ ცენტრებში გადაუდებელი დახმარების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მოლდოვაში ლტოლვილთა სასიცოცხლო პირობების უზრუნველსაყოფად;
- 15 მილიონი ევრო ლტოლვილთათვის ღირსეული პირობების შესაქმნელად და მესამე ქვეყნის მოქალაქეების უსაფრთხო ტრანზიტისა და რეპატრიაციის მხარდასაჭერად, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (IOM) მჭიდრო თანამშრომლობით;
- 15 მილიონი ევრო ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისიის (EUBAM) მხარდასაჭერად. მისიამ ახლახან შეიცვალა საქმიანობა და ამჟამად, დახმარებას უწევს მოლდოვის მესაზღვრეებს ლტოლვილების ჩამოსვლის კოორდინაციაში. მისია იმუშავებს Frontex-თან ერთად; 2022 წლის 17 მარტს, ევროკავშირსა და მოლდოვის ხელის-

უფლებას შორის ხელი მოეწერა საზღვრის მართვის შესახებ შეთანხმებას.

- ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის მეშვეობით, 18-მა ქვეყანამ (17 წევრმა სახელმწიფომ და დამატებით, ნორვეგიამ) ქვეყანას შესთავაზა დიდი რაოდენობით პირველადი საჭიროების ნივთებით მომარაგება, ენერგოდახმარებისა და შესაბამისი სამედიცინო დახმარების პარალელურად.

ქვეყნის კრიზისული ვითარებისგან დამოუკიდებლად, ევროკავშირი კვლავ აგრძელებს მოლდოვას გრძელვადიანი აღდგენისა და მდგრადობის მხარდაჭერას, აღმოსავლეთ პარტნიორობის ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმის მეშვეობით, რომელიც მიზნად ისახავს დაახლოებით 3,4 მილიარდი ევროს საჯარო და კერძო ინვესტიციების მობილიზებას ხუთი ფლაგმანისთვის: მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა, ვაჭრობის ხელშეწყობა, ენერგოეფექტურობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება. 2022 წლის 1-ლი აპრილის შეთანხმებით, მოლდოვას მთავრობასთან შეთანხმებული სესხის ფარგლებში, ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), დამატებით 150 მილიონი ევროს ინვესტიციას განახორციელებს მოლდოვას რესპუბლიკაში საავტომობილო გზების მოდერნიზაციისა და ქვეყანაში საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის.

https://euneighbourseast.eu/ka/news/latest-news/aghmosavleth-partnioroba-ekonomikuri-da-sainvestitsio-gegma-aghdgenis-gamdzleobis-da-rephormebis-ganakhlebul-dghis-cesrigs-adgens-2/

https://www.eib.org/en/press/all/2022-183-team-europe-in-moldova-eib-supports-faster-eu-integration-of-moldova-with-eur150-million-investment-in-modern-highways-and-improved-road-safety

ევროპარლამენტი ცდილობს შეცვალოს ევროკავშირის დროებითი საგზაო ტრანსპორტის შეთანხმება, რომელიც ძალაშია 2022 წლის ივნისიდან და იგი ჩაანაცვლოს მუდმივი შეთანხმებით, რომელიც გაამარტივებს უნებართვო სატრანსპორტო მომსახურებას მოლდოვადან. ევროკავშირმა დროებით გაათავისუფლა მოლდოვის სატვირთო მანქანები ევროკავშირის სატრანსპორტო - სანებართვო ვალდებულებებისგან (ორმხრივი და სატრანზიტო რეჟიმი) და შესთავაზა ვაჭრობის ხელშემწყობი ზომების გატარება დროებით ღონისძიებად (ერთი წლის ვადით) სოფლის მეურნეობის პროდუქტების კვოტების გაზრდით.

https://www.german-economic-team.com/en/newsletter/eu-kandidatenstatus-reformen-noetig-trotz-krisenzeiten/

მოლდოვას ეროვნული სტრატეგია

ევროკავშირის 9 რეკომენდაცია მოიცავს საკითხების ხუთ ფართო ბლოკს, როგორიცაა მართლმსაჯულება, ანტიკორუფციული პოლიტიკა, დანაშაულთან ბრძოლა, საჯარო მმართველობა და ადამიანის უფლებათა დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერება/ ინტეგრაცია.

1 მართლმსაჯულების რეფორმა გულისხმობს უკვე დაწყებული რეფორმების გაგრძელებას და მოსამართლეების, პროკურორების დანიშვნას და საკანონმდებლო კორექტირებას, ეუთოს/ODIHR-ისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად;

2 ანტიკორუფციულ კალათაში შემავალი ორი ღონისძიება გულისხმობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და საკანონმდებლო პროცესში ანტიკორუფციული ორგანოს შეფასებების იმპლემენტაციას;

3 შემდეგი ბლოკი ეხება დანაშაულებთან ბრძოლას, რომელიც 4 ღონისძიებას აერთიანებს: დეოლიგარქიზაცია, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, აქტივების აღრიცხვის მექანიზმის ამუშავება და ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონმდებლობის გადახედვა;

4 საჯარო მმართველობის ბლოკი მოიცავს ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის გააქტიურებას და ფინანსურ დეცენტრალიზაციას;

5 ბოლო ბლოკი კი ეხება ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გაძლიერებას (განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისა და გენდერული ბალანსის დაცვა) და სამოქალაქო საზოგადოების მეტ ინტეგრაციას.

https://libmod.de/moldova-steps-to-advance-eu-pre-acession-dialogue-cenusa/

https://www.moldpres.md/en/news/2022/07/13/22005184

2022 წლის აპრილში, მოლდოვაში დაარსდა ევროპასთან ინტეგრაციის ეროვნული კომიტეტი. ეს უკანასკნელი არის *საკონსულტაციო პლატფორმა,* რომელიც კოორდინაციას გაუწევს ევროკავშირის პირობების შესრულებას. კომიტეტი ხშირად მართავს შეხვედრებს შესასრულებელი რეკომენდაციების შესახებ და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე. ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგსა და კოორდინაციას რეგულარულად ახორციელებს ქვეყნის საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის სამინისტრო.

https://libmod.de/moldova-steps-to-advance-eu-pre-acession-dialogue-cenusa/

2022 წლის 4 აგვისტოს მოლდოვის ხელისუფლებამ შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა ევროკავშირის მიერ დადგენილი პირობ--ების შესასრულებლად. გეგმა 20 ივლისს გამოქვეყნდა, ხოლო 26 ივლისს გაიმართა კონსულტაციების პირველი რაუნდი, სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიაში რეკომენდაციების შეტანასთან დაკავშირებით. ექსპერ-

ტების შეფასებით, პროცედურა სრულად გამჭვირვალე არ იყო. ყველა შესაძლო აქტორს რეკომენდაციების წარსადგენად მხოლოდ 5 დღე განესაზღვა ვადად და ეროვნულ დონეზე განხორციელებული მოქმედებების უმეტესობა დეოლიგარქიზაციის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობისაკენ არის მიმართული.

ივარაუდება, რომ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით და მოლდოვის ხელისუფლების მიერ დაგეგმილი მოქმედებებიდან გამომდინარე, 2022 წლის ბოლომდე ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი პირობების მხოლოდ 30%-ის შესრულება მოესწრება რეალურად (4 ღონისძიება 13-დან). პრიორიტეტული სფეროებად მიიჩნევა - მართლმსაჯულება, დეოლიგარქიზაცია, დანაშაულთან ბრძოლა და ადამიანის უფლებები. თუმცა, მოლდოვის ხელისუფლება დასავლურ პარტნიორებთან მუდმივად თანამშრომლობს და მათი მზაობა რეკომენდაციების შესასრულებლად სახეზეა. სწორედ ამ მზაობის დასადასტურებლად და ევროკავშირის პირობების ეფექტურად განსახორციელებლად ხელისუფლებამ ცენტრალური აპარატის რესურსების ზრდის შესახებ განაცხადა. მთავრობის გადაწყვეტილებით, ცენტრალურ დონეზე, 35 დარგობრივი ჯგუფი შეიქმნება გაწევრიანების მოლაპარაკებების ინსტიტუციური ჩარჩოს შესამუშავებლად, რაც მოლდოვამ ევროკავშირს 2023 წელს უნდა წარუდგინოს.

https://libmod.de/moldova-steps-to-advance-eu-pre-acession-dialogue-cenusa/

https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/Newsletter_%5B04-05%5D_2022_EN.pdf

მოლდოვის მთავრობა ოპტიმისტურად არის განწყობილი შესასრულებელი კრიტერიუმების მიმართ და აღინიშნა, რომ ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, მართლმსაჯულების რეფორმა, უკვე დაწყებულია და ისედაც, პრიორიტეტულ საკითხად განიხილება რეფორმების დღის წესრიგში.

თუმცა, ქვეყანაში ჩატარებული ბოლოდროინდელი გამოკითხვები ადასტურებს, რომ სამთავრობო პარტიას („მოქმედება და სოლიდარობა“) მხოლოდ 22,6%- იანი მხარდაჭერა აქვს მოსახლეობის მხრიდან, ხოლო კომუნისტური და სოციალისტური ბლოკის მიერ შექმნილი ოპოზიციური პარტია, პოტენციური ხმების 26,3%-ს აგროვებს. აღნიშნული კი იმის ინდიკატორია, რომ ზეწოლა მთავრობაზე სწრაფი რეფორმირების და შესაბამისად, შედეგების სწრაფად ჩვენებისთვის ძალიან მაღალია, რეფორმების განხორციელება კი თავისთავად მოიცავს ქმედითი ნაბიჯების გადადგმასაც ევროინტეგრაციის გზაზეც.

https://www.german-economic-team.com/en/newsletter/eu-kandidatenstatus-reformen-noetig-trotz-krisenzeiten/

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მოლდოვასთვის შესასრულებელი ღონისძიებების 61%-ის პროგრესი რთულად დასადგენია (მაგალითად, ცვლილებები სასამართლო რეფორმაში), რადგან აღნიშნული რეკომენდაციები არსებით ცვლილებებს საჭიროებს ქვეყანაში და ამას-

https://www.german-economic-team.com/en/newsletter/eu-kandidatenstatus-reformen-noetig-trotz-krisenzeiten/

თან, ტოვებს სუბიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ღონისძიებების დარჩენილი 39% კი მიიჩნევა, რომ სპეციფიკური ხასიათისაა, რადგან პირდაპირ მოქმედებას მოითხოვს და რაიმე ტიპის ინტერპრეტაციის ან ორაზროვნად გაგების შესაძლებლობას გამორიცხავს (მაგალითად, უმაღლეს მაგისტრატ საბჭოსა და მის ყველა სპეციალიზებულ ორგანოში ვაკანტური ადგილების შევსება);

რაც შეეხება რეკომენდაციების შესრულების სისწრაფეს, ივარაუდება, რომ მათი უმეტესობა (54%) გარკვეულ დროს მოითხოვს შესასრულებლად მათი კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე (მაგალითად, სასამართლო და საჯარო მმართველობის რეფორმა); დანარჩენი 46% კი, შესაძლოა, უფრო სწრაფად შესრულდეს (მაგალითად: აქტივების აღდგენის მექანიზმის დანერგვა) - მომავალი წლის დასაწყისისთვის.

https://www.german-economic-team.com/en/newsletter/eu-kandidatenstatus-reformen-noetig-trotz-krisenzeiten/

მოლდოვის მთავრობის ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით, გაწევრიანების შესახებ დიალოგი 2024 წელს შეიძლება დაიწყოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანა არცთუ მარტივ მდგომარეობაში იმყოფება, რუსეთ-უკრაინის ომიდან მომდინარე საფრთხეების პარალელურად, ქვეყანაში მწვავე პრობლემად რჩება ინფლაცია, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, ლტოლვილების ნაკადი, რაც ამცირებს პროდასავლური მმართველი პარტიის პოპულარობას საზოგადოებაში და შესაძლოა, სერიოზული გავლენა იქონიოს სამომავლო პროცესებზე. მთავრობას საპასუხისმგებლო როლი აკისრია სინქრონიზაციის პროცესში ერთი მხრივ, ევროკავშირის პირობების სრულფასოვნად შესასრულებლად და მეორე მხრივ, ეფექტური რეფორმების გასატარებლად მოკლე ვადებში, მოსახლეობის სკეპტიციზმის დასაძლევად.

https://www.coe.int/ro/web/chisinau/-/council-of-europe-adopts-new-action-plan-for-the-republic-of-moldova

თავის მხრივ, მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოს 47 წევრ სახელმწიფოს, მიიღო სამოქმედო გეგმა მოლდოვის რესპუბლიკისთვის 2021-2024 წლებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის კანონმდებლობის, ინსტიტუტებისა და პრაქტიკის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას - ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში.

https://www.coe.int/ro/web/chisinau/-/council-of-europe-adopts-new-action-plan-for-the-republic-of-moldova

ახალი სამოქმედო გეგმის მიხედვით, ევროპის საბჭო და მოლდოვის ხელისუფლება შეთანხმდნენ ერთობლივად განახორციელონ პროექტები ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის იმპლემენტაცია და ეროვნულ დონეზე, ევროსასამართლოს იურისდიქციის გაზრდა.

მოვლენების მიმოხილვა საქართველოში

17 ივნისს, ევროკომისიის პრეზიდენტმა - ურსულა ფონ დერ ლეიენმა თავის სიტყვაში საქართველოზე საუბრისას, აღნიშნა, რომ **საქართველოს** აქვს საფუძველი იმ ინსტიტუტების სტაბილურობის მისაღწევად, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და უმცირესობათა პატივისცემასა და დაცვას, იმისდა მიუხედავად, რომ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ქვეყნის წინსვლას ზიანი მიაყენა; თუმცა, დამატებით აღნიშნა, რომ წინ არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმის გატარებაა საჭირო, როგორც ეკონომიკის გასაძლიერებლად, ისე სამოქალაქო სექტორის მეტი ჩათულობის უზრუნველსაყოფად და პოლიტიკური კოსენსუსის მისაღწევად.

https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/%E

ამის საფუძველზე, ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მიიღებს მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ პრიორიტეტულ საკითხებს:

https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/qanda_22_3800

1 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით გადაჭრას პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გზით;

2 უზრუნველყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გააძლიეროს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები; კიდევ უფრო გააუმჯობესოს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, აღმოფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც ამ პროცესების დროს ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭომ/ვენეციის კომისიამ გამოავლინა;

3 მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც დაეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს; უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულებით დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება; სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში;

გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები.

ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით;

4 გააძლიეროს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც თავს მოუყრის ყველა საკვანძო ანტიკორუფციულ ფუნქციას; განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრას მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები; აღჭურვოს ახლადდაარსებული სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტო იმ რესურსებით, რომლებიც მათ მანდატს შეესაბამება და უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა;

5 „დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით;

6 ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით; სამართალდამცველი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული;

7 უფრო ძლიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს, და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების შემთხვევებზე;

8 სასწრაფოდ გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულებისადმი უფრო შედეგიანად წარდგომის გზით;

9 გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ;

10 უზრუნველყოფილი იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე;

11 მიღებული იქნეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში;

12 უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭება დამოუკიდებელ პიროვნებას და რომ პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ; დაცული უნდა იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.

„დეოლიგარქიზაცია“

ჩვენი ნაშრომის მიზნებისათვის, მიმოვიხილავთ შესასრულებელი რეკომენდაციებიდან რამდენიმეს და უკვე გადადგმულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

ყველაზე რეზონანსული ხასიათის საქართველოსათვის „დეოლიგარქიზაციის“ კრიტერიუმი აღმოჩნდა, რომელმაც ქვეყანასში პოლარიზაციის და დაპირისპირების კიდევ უფრო მძლავრი ახალი ტალღის წარმოშობას შეუწყო ხელი. აღნიშნული კრიტერიუმი განსხვავებულად იქნა ინტერპრეტირებული სხვადასხვა ძალის მიერ და შესაბამისად, მედია-ფოკუსიც ამ დრომდე აქტიურად სწორედ ამ რეკომენდაციისკენაა მიპყრობილი. საკითხისადმი მედიის ინტერესს ისიც ამძაფრებს, რომ შემოთავაზებული კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ინტერესის ობიექტი სხვა პირებთან ერთად, მედია საშუალებების მფლობელებიც აღმოჩნდნენ.

საბოლოოდ, პარლამენტში დეოლიგარქიზაციის შესახებ ევროკომისიის მიერ დადგენილი რეკომენდაციის შესრულებაზე მუშაობა ივლისიდან დაიწყო. გაიწერა სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული კანონპროექტის ინიცირება არაუგვიანეს 2022 წლის 5 ოქტომბრისა უნდა მომხდარიყო, ხოლო კანონის მიღება - არაუგვიანეს 2022 წლის 29 ნოემბრისა. სამუშაო ჯგუფის წევრები იყვნენ: ფრაქცია „ქართულ ოცნებისა“ და საპარლამენტო ოპოზიციის, ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის, ცესკოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენელები. ჯგუფში ორი ადგილი იყო გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის.

https://parliament.ge/media/news/parlamentshi-deoligarkizatsiis-shesakheb-evrokomisiis-mier-dadgenili-rekomendatsiis-shesrulebaze-mushaoba-daitsqo

უკრაინაში მოქმედი კანონის ანალოგი - კანონპროექტი **„დეოლიგარქიზაციის შესახებ“** 5 ოქტომბერს შემუშავდა, ხოლო პარლამენტმა კანონპროექტი პირველი მოსმენით, **80 ხმით 9-ის** წინააღმდეგ[1] 3

[1]კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს შემდეგმა დეპუტატებმა: ხატია დეკანოიძე, ავთანდილ ენუქიძე, დავით ზილფიმიანი, ფრიდონ ინჯია, ვახტანგ მეგრელიშვილი, ალექსანდრე რაქვიაშვილი, ჰერმან საბო, იაგო ხვიჩია, არმაზ ახვლედიანი.

ნოემბერს მიიღო. მეორე მოსმენით კანონპროექტი 15 ნოემბერს განიხილეს. კანონის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 1 ივნისი, ხოლო კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდება 2033 წლის 1 ივნისიდან.

https://parliament.ge/media/news/parlamentma-deoligarkizatsiis-shesakheb-kanonproekti-pirveli-mosmenit-miigho

https://parliament.ge/media/news/parlamentma-deoligarkizatsiis-shesakheb-kanonproekti-meore-mosmenit-ganikhila

კანონი "დეოლიგარქიზაციის შესახებ" განსაზღვრავს, სუბიექტთა წრეს და შესაბამისად სახელმღვანელოდ 4 კრიტერიუმს აწესებს:

- პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა;
- მედიაზე მნიშვნელოვანი გავლენის ქონა;
- დომინანტური მდგომარეობა, მაგალითად, ბაზარზე დომინანტის როლი;
- მდგომარეობა, როცა პირის სარგებლობაშია საარსებო მინიმუმთან შედარებით მილიონჯერ მეტი ოდენობის თანხა.

https://parliament.ge/media/news/parlamentma-deoligarkizatsiis-shesakheb-kanonproekti-meore-mosmenit-ganikhila

კანონპროექტით გაიწერა თუ რა იგულისხმება პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კრიტერიუმებად და მასობრივი ინფორმაციის საშუალებაზე მნიშვნელოვან გავლენად. ოლიგარქების სპეციალური რეესტრის შედგენაზე პასუხისმგებელი თავდაპირველად იყო პარლამენტი, თუმცა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ანრი ოხანაშვილმა დეპუტატებს შესთავაზა ცვლილების შეტანა პროექტში, რომლის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი მთავრობა გახდებოდა. ცვლილებების მიზნად კი, ოპოზიციის პროტესტი დასახელდა, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა პარლამენტისათვის ამ უფლებამოსილების მინიჭებაზე. მოქმედი რედაქციით ეს უფლება-მოსილება პარლამეტის ნაცვლად, მთავრობას ენიჭება (უკრაინული მოდელის მსგავსად).

https://radiotavisupleba.ge/a/32152530.html

აღსანიშნავია, რომ პარლამენტს კანონპროექტის ვენეციის კომისიაში გაგზავნა ურჩიეს, როგორც ევროპარლამენტარებმა ისე საქართველოში ვიზიტით მყოფმა ევროკომისარმა და არაერთი განცხადება გაკეთდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხრიდანაც. საბოლოოდ, მმართველმა პარტიამ ნოემბრის ბოლოს, საპარლამენტო სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე დააანონსა, რომ კანონპროექტს სამართლებრივი შეფასებისთვის ვენეციის კომისიაში გაგზავნის.

ოპოზიციის მხრიდან ალტერნატიული კანონპროექტი პარლამენტისათვის არ ყოფილა შეთავაზებული, რადგან მათი მოსაზრებით, ყველა სხვა რეკომენდაციის შესრულება, ავტომატურად, გულისხმობს აღნიშნული მოთხოვნის შესრულებესაც და გავლენების შემცირებას.

ანტიკორუფციული სააგენტო

ევროკავშირის რიგით მე-4 რეკომენდაცია ეხება ანტიკორუფ-ციული სააგენტოს დამოუკიდებლობის გაძლიერებას, რომელიც აღჭურ-ვილი იქნება ყველა საკვანძო ფუნქციით და რაც მთავარია, იქნება ინსტი-ტუციურად დამოუკიდებელი. აღნიშნულმა, ერთი შეხედვით გამჭვირ-ვალე ჩანაწერმა ერთგვარი გაურკვევლობა და ორაზროვნებაც გამოიწვია მთავრობასა და ოპოზიციას შორის. კერძოდ, სადავო გახდა, სიტყვები - „გაძლიერდეს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა“ - გუ-ლისხმობს უკვე არსებული სააგენტოს გაძლიერებას თუ არსებითად ახალი ინსტიტუტის შექმნას?

ანტიკორუფციულ ღონისძიებებზე სამუშაოდ პარლამენტში შე-საბამისი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ხელმძღვანელობს იურიდ-იულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. სამუშაო ჯგუფის წევრები არიან: ფრაქცია „ქართულ ოცნებისა“ და ცალკეული ოპოზიციური ჯგუფების წევრები, ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის, პროკურატურ-ის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სამოქალაქო საზოგადოების (აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის) წარმომადგენლები. სამოქ-მედო გეგმის მიხედვით, კანონპროექტის ინიცირება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 2022 წლის 19 ოქტომბრისა, ხოლო მიღება არაუგვიანეს 2022 წლის 1 დეკემბრისა.

https://parliament.ge/media/news/antikoruftsiuli-ghonisdziebebis-samushao-jgufma-damoukidebeli-antikoruftsiuli-saagentos-shekmnaze-da-utsqebebs-shoris-efektian-koordinatsiaze-imsjela

2022 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის იურიდ-იულ საკითხთა კომიტეტმა ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულ-ებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საკანონმდებლო პაკეტი დააინიც-ირა. საკანონმდებლო პაკეტი 31 ოქტომბერს გამოქვეყნდა.

https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/309643

მთავრობის პოზიციით, 12 პუნქტიან გეგმაში, აპრიორი, ახალი სააგენტოს შექმნა არ იგულისხმება, ხოლო კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით გამოითქვა მოსაზრება, რომ რეკომენდაციის შესას-რულებლად საჭიროა უწყებებს შორის კოორდინაციის გაძლიერება და შესაძლოა, გადაიხედოს კორუფციასთან ბრძოლაში სისხლის სამარ-თლის კონკრეტული შემადგენლობები და სანქციების ზომები.

https://parliament.ge/media/news/antikoruftsiuli-ghonisdziebebis-samushao-jgufma-damoukidebeli-antikoruftsiuli-saagentos-shekmnaze-da-utsqebebs-shoris-efektian-koordinatsiaze-imsjela

2 ნოემბერს, პარლამენტმა 84-ხმით (ერთი წინააღმდეგი) ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანტიკორუფციული ბიურ-ოს შექმნის თაობაზე ინიცირებული საკანონმდებლო პროექტი მიიღო. აუცილებელად აღსანიშნავია, რომ უმრავლესობის კანონპროექტით გათვალისწინებულ ანტიკორუფციულ ორგანოს არ ენიჭება საგამოძიებო ფუნქციები. პროექტს პირველი მოსმენით უყარეს კენჭი (აღნიშნული

https://publika.ge/parlamentma-antikorufciuli-biuros-shesakheb-sakanonmdeblo-cvlilebebi-i-mosmenit-daamtkica/

ნაშრომის მომზადების პროცესში, კანონპროექტი უკვე ორი მოსმენითაა მიღებული).

2022 წლის 9 ნოემბერს, საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა ანტიკორუფციული სააგენტოს შესახებ ალტერნატიული კანონპროექტი განიხილა, რომლის ინიციატორებიც იყვნენ საქართველოს პარლამენტის წევრები: სალომე სამადაშვილი, ბადრი ჯაფარიძე, დავით უსუფაშვილი, შალვა შავგულიძე და ანა ნაცვლიშვილი (აღნიშნული პროექტი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნას ითვალისწინებდა, რომელიც ადმინისტრაციულად, უწყებრივად, პოლიტიკურად არავის მიმართ არ იქნება დაქვემდებარებული, ხოლო საგამოძიებო მოქმედებებში ის სრულად პასუხისმგებელი იქნებოდა საქართველოს პროკურატურის მიმართ). კომიტეტის დასკვნა კანონპროექტის მიმართ უარყოფითია.

https://parliament.ge/media/news/saprotseduro-sakitkhta-da-tsesebis-komitetma-antikoruftsiuli-saagentos-shesakheb-alternatiuli-kanonproekti-ganikhila

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოთქვა მოსაზრება „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით და მათი მტკიცებით, კანონპროექტი ვერ პასუხობს ევროკავშირის მე-4 პრიორიტეტულ ამოცანას. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ისტიტუტი (IDFI), რომელმაც დეტალურად წარადგინა ხედვები და მისი მტკიცებით, საკანონმდებლო პაკეტი ვერ პასუხობს ევროკავშირის რეკომენდაციას კორუფციასთან, განსაკუთრებით კი მაღალი დონის კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერების თვალსაზრისით. მათი მტკიცებით, მართალია კანონპროექტი ითვალისწინებს ანტიკორუფციული ბიუროს შექმნას, თუმცა აღნიშნულ ორგანოს არ ენიჭება ევროკავშირის რეკომენდაციით გათვალისწინებული არცერთი ფუნქცია. შემოთავაზებულ ახალ ორგანოს მიენიჭება მხოლოდ სახელმწიფოს ანტიკორუფციული პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობის უფლებამოსილება, რაც აბსოლუტურად არასაკმარისია რეკომენდაციის შესასრულებლად.

https://idfi.ge/ge/the_draft_law_initiated_on_anti_corruption_issues_does_not_respond_to_the_4th_priority_of_the_european_union_

რეკომენდაციები ჰქონდა ასევე დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს (DRI), რომელმაც 9 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს, საპარლამენტო ფრაქციებსა და პოლიტიკურ ჯგუფებს მოსაზრებები წარუდგინა, რაც ასევე არ იქნა გათვალისწინებული პრინციპულ საკითხებთან მიმართებით.

https://www.democracyresearch.org/

ორგანიზებული დანაშაული

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან არსებულმა სამუშაო ჯგუფმა პირველი საორგანიზაციო სხდომა 20 ივლისს გამართა. ჯგუფის შემადგენლობაში უმრავლესობის წევრებისა და ოპოზიციის ნაწილთან ერთად, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროს, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, პროკურატურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მონიტორინგის სამსახურის, ეროვნული უსაფრთხოები საბჭოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები შედიოდნენ. გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით, სამუშაო ჯგუფს უნდა ემუშავა 1 ნოემ-ბრამდე.

https://parliament.ge/media/news/organizebul-danashaultan-brdzolis-gadzlierebis-miznit-tavdatsvisa-da-ushishroebis-komitettan-shekmnili-samushao-jgufis-skhdoma-gaimarta

სამუშაო ჯგუფმა ბოლო, შემაჯამებელი შეხვედრა 28 ოქტომბერს გამართა. ჯგუფმა სამი თვის განმავლობაში იმუშავა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან და ცხრა სამუშაო შეხვედრა გაიმართა. საბოლოოდ კი მომზადდა დოკუმენტი, რომელიც შეეხება შემდეგ საკითხებს:

https://parliament.ge/media/news/organizebuli-danashaulis-tsinaaghmdeg-brdzolis-gadzlierebis-miznit-shekmnilma-samushao-jgufma-shemajamebeli-shekhvedra-gamarta

- ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების, მათ შორის, ქურდული სამყაროს და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ტრეფიკინგი და ფულის გათეთრება;
- კიბერ და ნარკოდანაშაული;

დოკუმენტი ძირითადად შეიცავს საკანონმდებლო ცვლილებებს, სამოქმედო გეგმებს, ჩამოთვლის შესაბამისი უწყებების ინსტიტუციური გაძლიერების თვალსაზრისით გადასადგმელი ნაბიჯებს, რაც მოიცავს ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, მათი შესაძლებლობების განვითარებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ გაუმჯობეს-ებას, ტრანს-სასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერებას, საერთაშორ-ისო თანამშრომლობის გაღრმავებას და პრევენციულ ღონისძიებებს. 31 ოქტომბერს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტი დაამტკიცა. ოპოზ-იციის მხრიდან შიდა, საკომიტეტო სამუშაობისგან დამოუკიდებლად გაგზავნილი რეკომენდაციები ან/და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა საჯაროდ.

https://parliament.ge/media/news/tavdatsvisa-da-ushishroebis-komitetma-samushao-jgufis-mier-momzadebuli-dokumenti-daamtkitsa

სახალხო დამცველის არჩევა

ევროკავშირის ბოლო, მე-12 რეკომენდაციაში პირდაპირაა მითითება, რომ ახალი სახალხო დამცველის შერჩევის პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ პირს და პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ; საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით განიხილა კანონპროექტი, რომლითაც გათვალისწინებული იყო სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესის შემოღება მიმდინარე წლისათვის, ვინაიდან მოქმედ სახალხო დამცველს უფლებამოსილების ვადა 2022 წლის 8 დეკემბერს ეწურება.

https://www.radiotavisupleba.ge/a/32022862.html

7 სექტემბრის სხდომაზე პარლამენტმა, 88-ხმით, მხარი დაუჭირა რეგლამენტში ცვლილებებს, რომლითაც ომბუდსმენს ახალი წესით წარადგენენ და აირჩევენ. პარლამენტმა უკვე 9 სექტემბერს, სახალხო დამცველის არჩევის დროებითი წესს მესამე მოსმენით მხარი 83 ხმით დაუჭირა, ვინაიდან პირველი მოსმენისგან განსხვავებით კანონპროექტს მხარი არ დაუჭირეს ოპოზიციურმა პარტიებმა - *„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ", „ლელომ" და „სტრატეგია აღმაშენებელმა".*

https://parliament.ge/media/news/parlamentma-reglamentshi-shesatani-tsvlilebit-sakhalkho-damtsvelis-archevis-droebiti-tsess-mesame-mosmenit-mkhari-83-khmit-dauchira

კანონის თაობაზე საზოგადოებისთვის ცნობილია სახალხო დამცველის მოსაზრებებიც, რომელიც გაემიჯნა პარლამენტში მიმდინარე პროცესს, მისი როგორც პროცედურული, ასევე შინაარსობრივი არასრულყოფილების გამო. სახალხო დამცველის შეფასებით, საჯაროდ დაინტერესებული პირებისათვის კანონპროექტის ტექსტი და საკომიტეტო მოსმენის დრო წინასწარ, გონივრული ვადით ადრე ცნობილი არ იყო. რამაც, თავის მხრივ, გამორიცხა სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობაც ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში. შინაარსობრივ მხარესთან მიმართებით, განცხადებაში ნათქვამია, რომ არც ერთი საერთაშორისო სტანდარტი თუ დოკუმენტი არ საუბრობს/ითვალისწინებს სახალხო დამცველის არჩევის პროცედურების მხოლოდ დროებით შემოღებაზე, ისინი უთითებს მათი საკანონმდებლო დონეზე მყარად განსაზღვრის საჭიროებას, რაც რეალურად უნდა ყოფილიყო რეკომენდაციის მიზანიც. ამასთან, განცხადებაში ნათქვამია, რომ სახალხო დამცველის არჩევასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების დარეგულირება გათვალისწინებულია ერთპიროვნულად, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ, ბრძანების ფორმით, რაც გამორიცხავს გამჭვირვალობისა და ჩართულობის მაღალ ხარისხს.

https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-sakhalkho-damtsvelis-archevastan-dakavshirebul-kanonproektze

https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-sakhalkho-damtsvelis-archevastan-dakavshirebul-kanonproektze

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, უმჯობესი იქნებოდა პროცედურული საკითხები და გარანტიები სწორედ კანონით ყოფილიყო მოწესრიგებული, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებისთვის მხოლოდ მცირე მნიშვნელობის პროცედურული დეტალების დაზუსტება განესაზღვრა კანონს.

გთავაზობთ, ნოემბრის მდგომარეობით, უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას მიერ თითოეული რეკომენდაციის ფარგლებში, გატარებულ ღონისძიებებს.

უკრაინა

რეკომენდაცია	შესრულება
1. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცედურის შესახებ კანონმდებლობის დანერგვა და განხორციელება, მათ შორის წინასწარი შერჩევის პროცესის განსაზღვრა, რომელიც დაფუძნებული იქნება მოსამართლეთა კეთილსინდისიერების და პროფესიული უნარების შეფასებაზე	2022 წლის 6 სექტემბერს უმაღლესმა რადამ პირველი მოსმენით მიიღო No7662 კანონპროექტი საკონსტიტუციო სასამართლოს რეფორმის შესახებ
2. ეთიკის საბჭოს მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების კეთილსინდისიერების შემოწმება და კანდიდატის შერჩევა უკრაინის მოსამართლეთა უმაღლესი საკვალიფკაციო კომისიის შესაქმნელად	შეირჩა შესაბამისი კანდიდარები
3. კორუფციასთან ბრძოლის მაღალი სტანდარტების მეთოდების დანერგვა	• შემუშავდა რამდენიმე სამართლებრივი დოკუმენტი, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით • მიმდინარე წლის ივლისში სპეციალიზებული ანტიკორუფციული პროკურატურის ხელმძღვანელის დანიშვნამ განაპირობა მთავარი კორუფციული საქმეების ეფექტური გამოძიება
4. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა FATF-ს სტანდარტებთან	• სექტემბერში მიღებულ იქნა კანონი No 6320 ბიზნეს ბენეფიციარების შესახებ • სექტემბერშივე პარლამენტმა მოახდინა ევროპის საბჭოს ტერორიზმის პრევენციის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება
5. ანტიოლიგარქული კანონის იმპლემენტაცია, რომელმაც უნდა შეზღუდოს ოლიგარქების გადაჭარბებული გავლენა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.	მიღებულ იქნა შესაბამისი კანონი, რომელმაც ზეგვალენა მოახდინა უკრაინელ ოლიგარქებზე და მათ მედია ბიზნესისგან ჩამოშორება აიძულა.
6. მედიის შესახებ კანონის მიღება, რომელიც სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის აუდიოვიზუალური მედია სერვისების დირექტივასთან და ხელს უწყობდეს მედიის დამოუკიდებელი მარეგულირებლების გაძლიერებას	ქვეყანა მზადაა მიიღოს კანონი მედიის შესახებ
7. ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის ფორმირების რეფორმა	რადას მმართველი უმრავლესობა აცხადებს მზაობას, მხარი დაუჭიროს კანონპროექტს

მოლდოვა

რეკომენდაცია	შესრულება
1. დასრულდეს დაწყებული მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი რეფორმა ყველა ინსტიტუტ-სა და პროკურატურის ყველა რგოლში, მათი დამოუკიდებლობის, მთლიანობის, ეფექტურ-ობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალ-ობის უზრუნველსაყოფად;	• ხორციელდება მოლდოვას რესპუბლიკის მიერ საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობაში მოყვანა 2021 წლის 23 სექტემბერს მიღებულ კონსტი-ტუციურ დებულებებთან, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით (*No. 1082/2022, 20/06/2022*) რეკომენდაციის შეს-რულების ვადა: 2022 წლის დეკემბერი • (პროცესებზე ზედამხედველობას ახორციელ-ებს იუსტიციის სამინისტრო
2. ყველა სფეროში, აღმოიფხვრას ეუთო/ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზები;	• შესაბამისი რეკომენდაციები გათვალისწინებ-ულ იქნა და განახლებული კანონპროექტი 2022 წლის 13 ივლისს დარეგისტრირდა პარლამენ-ტში • იგი ერთი მოსმენით მიღებულ იქნა 2022 წლის 28 ივლისს
3. გადამწყვეტი ნაბიჯები გადაიდგას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა დონეზე, ეფექტი-ანი გამოძიების წარმოების გზით;	• 2022 წლის ოქტომბერში მიღებულ იქნა შესა-ბამისი კანონი, რომლის მიხედვითაც, გამ-კაცრდა სისხლისსამართლებრივი პასუხის-მგებლობა ძებნაში მყოფი პირების მიმართ • საკანონმდებლო ცვლილებები მაღალი დონის კორუფციის აღმოსაფხვრელად - დასრულდება 2022 წლის დეკემბერში • (პროცესებზე ზედამხედველობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო)
4. განხორციელდეს „დეოლიგარქიზაციის“ ვალ-დებულება - ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სა-ზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტერესების გადა-ჭარბებული გავლენის აღმოფხვრის გზით;	• მზადდება კონცეფცია, მარეგულირებელი ბაზა და საერთაშორისო პრაქტიკა ვენეციის კომისი-ის რეკომენდაციების შესაბამისად (დასრულდება - 2022 წლის დეკემბერში) • „დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის მომზა-დება და მიღება - 2023 წლის ივნის • (ზედამხედველობას უწევს იუსტიციის სამინ-ისტრო, გენერალური პროკურატურა, ეროვნ-ული ანტიკორუფციული ცენტრი, ცენტრალ-ური საარჩევნო კომისია)
5. გაძლიერდეს ორგანიზებული დანაშაულის წი-ნააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, საფრთხეების	

დეტალური შეფასებების საფუძველზე, გაძლიერდეს თანამშრომლობა რეგიონულ, ევროკავშირსა და საერთაშორისო პარტნიორებთან და სამართალდამცავ უწყებებთან უკეთესი კოორდინაციისათვის;	• დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებები, გამკაცრდება კონკრეტული დანაშაულების სანქციები • (ნაწილი ღონისძიებებისა განხორციელდება 2022 წლის ოქტომბერში, ნაწილი კი დასრულდება დეკემბერში) • (ზედამხედველობას ახორციელებს შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, ასევე გენერალური პროკურატურა)
6. მეტად ეფექტური გახდეს საჯარო მმართველობის რეფორმა, უზრუნველყოფილ იქნას ხარისხიანი საჯარო სერვისები; შეფასდეს და განახლდეს საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგია;	• რეფორმის კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, ნაწილი რეფორმებისა დასრულდება დეკემბერში, ხოლო მოლდოვას სამოქმედო გეგმის მიხედვით, სრულად დასრულდება- 2023 წლის ივნისში • (ზედამხედველობას უწევს ფინანსთა სამინისტრო და მისი სტრუქტურები)
7. დასრულდეს სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა, მათ შორის, გაუმჯობესდეს სახელმწიფო შესყიდვები ყველა დონეზე;	• ღონისძიების ნაწილი, სექტემბერ - ოქტომბერში გატარდა, ხოლო საბოლოოდ, ახალი სტრატეგიის დამტკიცება 2022 დეკემბრის ბოლოს იგეგმება • (ზედამხედველობას უწევს ფინანსთა სამინისტრო)
8. უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ყველა დონეზე;	• მუდმივმოქმედი საკონსულტაციო პლატფორმების მუშაობის უზრუნველყოფა - დასრულდება 2023 წლის ივნისში • რეგლამენტი სამოქალაქო საზოგადოების ფინანსური მდრადობის გასაძლიერებლად - მიღებულ იქნა ნოემბერში • (ზედამხედველობას უწევს კანცელარია, პარლამენტის სამდვინო და იუსტიციის სამინისტრო)
9. გაძლიერდეს ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა, შესრულდეს გენდერული თანასწორობის დაცვისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებება.	• იგეგმება რამდენიმე კანონპროექტის მიღება და ასევე საკანონმდებლო ბაზის ცვლილება, ღონისძიებების ნაწილი დასრულდება დეკებერში, ხოლო გეგმის მიხედვით, საბოლოოდ, რეკომენდაცია შესრულდება 2023 წლის მაისში • (ზედამხედველობას უწევს იუსტიციის და შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროები)

საქართველო

რეკომენდაცია	შესრულება
1. გადაიჭრას პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხი (19 აპრილის შეთანხმებით)	• ივლისში დაანონსდა პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომლისთვისაც კოორდინაცია პარლამენტის თავმჯდომარეს უნდა გაეწია • ამ დრომდე, საჯაროდ, არ ვრცელდება ჯგუფის მუშობის შესახებ ინფორმაცია; არსებითი ნაბიჯები რეკომენდაციის შესასრულებლად არ გადადგმულა
2. უზრუნველყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება;	• საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტთან შეიქმნება სამუშაო ჯგუფი • საპარლამენტო ზედამხედველობის შესახებ კანონპროექტი მესამე მოსმენით უკვე მიღებულია, ხოლო საარჩევნო კანონდებლობის ცვლილების შესახებ კანონპროექტი ორი მოსმენითაა მიღებული • კანონპროექტი დასკვნის მისაღებად გაეგზავნა ვენეციის კომისიასა და ეუთო-ოდირს
3. მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის	• საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შექმნილი სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი • ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, უზენაესი მოსამართლეობის კანდიდატმა პარლამენტში, სულ ცოტა, 120 ხმა უნდა მიიღოს და არა 76, რაც მოქმედი კანონმდებლობითაა გათვალისწინებული • მიმდინარეობს მუშაობა სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე და შესაბამის კანონპროექტზე, რომელიც უკვე ინიცირებულია და გადაგზავნილია ვენეციის კომისიაში შესაფასებლად
4. გააძლიეროს ანტიკორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა	• კანონპროექტი უკვე მიღებულია და მას ზედამხედველობას უწევდა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი
5. „დეოლიგარქიზაცია“	• შესაბამისი კანონპროექტი უკვე მიღებულია და გადაგზავნილია ვენეციის კომისიაში შესაფასებლად. მას ზედამხედველობას უწევდა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

6. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება	• კომიტეტმა დაასრულა მუშაობა და შესაბამისი დოკუმენტი მიღებულია, რომელიც კონკრეტულად გაწერს სამომავლო ღონისძიებებს და ვადებს მათ შესასრულებლად
7. თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველყოფა	• სამოქმედო გეგმის მიხედვით, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს, საქართველოს პროკურატურასთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, უნდა უზრუნველეყო ინფორმაციის საჯაროობა ყველა შესაბამისი საქმის გამოძიების შესახებ • რეკომენდაციის ფარგლებში, გამოსაძიებელია 2021 წლის 5-6 ივლისს ჟურნალისტებზე თავდასხმები, ფარული მოსმენებისა და თვალთვალის საქმეები, თუმცა ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით, არ გადაგმულა
8. გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულებისადმი უფრო შედეგიანად წარდგომის გზით;	• სამოქმედო გეგმის მიხედვით, მე-7 და მე-8 რეკომენდაციების შესრულება ერთად მოიაზრება, თუმცა, ამ დრომდე, ქმედითი ნაბიჯები არ არის გადადგმული
9. გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ;	• რამდენიმე საკანონმდებლო პაკეტზე მიმდინარეობს მუშაობა (პროცესს ზედამხედველობას უწევს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგ-აციის კომიტეტი და გენდერული თანასწორობის საბჭო)
10. უზრუნველყოფილ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა	• სამოქმედო გეგმის მიხედვით, ამ პროცესს კოორდინაციას უწევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე • არსებითი ნაბიჯები არ გადგმულა ამ კუთხით, განსხავებული ხედვები აქვთ მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადეობას
11. მიღებულ იქნას კანონი, ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში;	• კანონპროექტი უკვე მიღებულია და მას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი უწევდა ზედამხედველობას
12. სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ პიროვნებას და პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ;	• სახალხო დამცველის არჩევის პროცესი მიმდინარეა, საკითხი პუბლიკაციის მომზადების პერიოდში განხილვის პროცესშია.